

შპს „პალიასტომი-2004“

2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2022

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „პალიასტომი-2004“-ის 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „პალიასტომი-2004“-ის 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი ----- პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი ----- ეკატერინე დობორჯგინიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „პალიასტომი-2004“-ის პარტნიორებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პალიასტომი-2004“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი - 215103509) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული კონსოლიდირებული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 22,035,607 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი - 1,720,526 ლარი). ჯგუფს, მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ძირითადი საშუალებებისათვის არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. ამასთან, ჯგუფმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მსს ფასს-ზე გადასვლის

თარიღისთვის, არ გამოიყენა ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულების მოდელი, რისი უფლებაც ჰქონდა მსს ფასს მიხედვით.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულ გარკვეულ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც შეძენილი იყო 2019 წლის 01 იანვრამდე და რომლის ღირებულებამ 31.12.2021-სთვის შეადგინა 168,325 ლარი, ჯგუფმა ვერ შეძლო სრულყოფილად წარმოდგინა თვითღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში და ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ ცვეთის ხარჯებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ

მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გაცეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

30 სექტემბერი, 2022 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	839 758	3 945 629	3.1.
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	380 600	380 600	3.2.
სავაჭრო მოთხოვნები	12 960	143 890	3.3.
მარაგები	1 308 159	473 092	3.4.
გადახდილი ავანსები	13 454 867	6 077 354	3.5.
სხვა მიმდინარე აქტივები	149 119	242 735	3.6.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	16 145 463	11 263 300	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	22 035 607	1 720 526	3.7.
არამატერიალური აქტივები	4 122 613	4 403 562	
ინვესტიციები	3 749 334	-	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	29 907 553	6 124 088	
აქტივები სულ:	46 053 016	17 387 389	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	4 405 619	634 153	3.8.
მოკლევადიანი სესხები	7 649 783	9 766	3.9.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	136 774	7 195	3.10.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	12 192 176	651 114	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	22 087 862	8 565 532	3.11.
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 654 044	951 499	3.12.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	26 741 906	9 517 031	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3 197 726	3 197 726	3.13.
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	(16 314)	(16 314)	
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	3 937 523	4 037 833	
კაპიტალი სულ:	7 118 934	7 219 244	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	46 053 016	17 387 389	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და
ხელმოწერილია:

დირექტორი ----- პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი ----- ეკატერინე დობორჯგინიძე
თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ამონაგები	10 244 329	20 601 441	3.14.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(8 167 300)	(12 928 757)	3.15.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	2 077 029	7 672 683	
მიწოდების ხარჯები	(289 588)	(674 125)	3.16.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(561 569)	(401 660)	3.17.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 351 275)	(827 397)	3.18.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(125 403)	5 769 501	
ფინანსური შემოსავალი	46 367	17 308	
ფინანსური ხარჯი	(1 461 537)	(133 306)	3.19.
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	432 048	(709 810)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 130 140	20 524	3.20.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(121 925)	(128 685)	3.21.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(100 310)	4 835 532	
წლის წმინდა მოგება	(100 310)	4 835 532	
წლის სრული შემოსავალი	(100 310)	4 835 532	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი ----- ეკატერინე დობორჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-სთვის	3 181 411	(797 699)	2 383 712
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	4 835 532	4 835 532
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 181 411	4 037 833	7 219 244
ნაშთი 31.12.2020-სთვის	3 181 411	4 037 833	7 219 244
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(100 310)	(100 310)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 181 411	3 937 523	7 118 934
ნაშთი 31.12.2021-სთვის	3 181 411	3 937 523	7 118 934

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და
 ხელმოწერილია:

დირექტორი ----- პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი ----- ეკატერინე დობორჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული
 ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	10 640 887	19 481 240	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(16 364 860)	(14 095 089)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(994 262)	(152 834)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(18 808)	(35 543)	
გადახდილი გადასახადები	(380 919)	(479 560)	
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ანგარიშებზე განთავსება	-	(380 600)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(182 324)	(175 955)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(7 300 285)	4 161 659	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(17 426 613)	(7 473 568)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	742 818	-	
მიღებული პროცენტები	46 367	17 308	
მიღებული თანადაფინანსება	1 313 294		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(15 324 135)	(7 456 260)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	21 810 521	10 077 086	3.22.
სესხების დაფარვა	(377 844)	(3 000 895)	
გადახდილი პროცენტები	(1 979 515)	(138 052)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	19 453 162	6 938 139	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	65 387	101 598	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(3 105 871)	3 745 136	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	3 945 629	200 493	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	839 758	3 945 629	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი ----- ეკატერინე დობოროჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პალიასტომი-2004“-ის (შემდგომში - *ჯგუფი*) მიერ. შპს „პალიასტომი-2004“ დარეგისტრირებულია 2004 წლის 26 აგვისტოს ფოთის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 215103509, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ., №15. დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ: სულხან პაპაშვილი, რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 6,67%; გიორგი კუხალეიშვილი, რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 60%; შპს „ზღვის პროდუქტები“ (ს/კ 415080860), რომელსაც ეკუთვნის 33,33%.

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის გიორგი კუხალეიშვილი.

1.3. ჯგუფის სათავე კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;
- ბ) კომპანიის მართვასა და მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი არიან დამფუძნებლები;
- ბ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - პაატა ჟღენტაძე.

1.4. ჯგუფში შედის შვილობილი კომპანიები:

შპს „ჯორჯიან მარინ გრუპ“, საიდენტიფიკაციო კოდი 415108715, რეგისტრირებული 03.12.2020წ. იურიდიულ მისამართზე საქართველო, ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქუჩა, N43. წილობრივი მონაწილეობა - 100%.

შპს „მარინ ლოჯისტიკ გრუპ“, საიდენტიფიკაციო კოდი 415109698, რეგისტრირებული 17.05.2021წ. იურიდიულ მისამართზე საქართველო, ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქუჩა, N43. წილობრივი მონაწილეობა - 100%.

1.5. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები:

შპს „ფოთი 2012“, საიდენტიფიკაციო კოდი 415084759, რეგისტრირებული 03.04.2012წ. იურიდიულ მისამართზე საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ., №209. წილობრივი მონაწილეობა - 16,055%. კომპანია ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს და მისი რეალური ღირებულება ნულის ტოლია.

შპს „შავი ზღვის აკვაკულტურის კომპანია“, საიდენტიფიკაციო კოდი 404498343, რეგისტრირებული 29.07.2015წ. იურიდიულ მისამართზე საქართველო, ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქ., №43. წილობრივი მონაწილეობა - 10%. აღნიშნულ კომპანიაში წილი შეიძინა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

1.6. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

თევზჭერის ლიცენზიის ფარგლებში თევზის დაჭერა და გადამუშავება, თევზის პროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რეექსპორტი, გემის იჯარით გაცემა.

1.7. ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ კომპანიებს შორის.

1.8. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, ჯგუფმა ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას ჯგუფისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფმა ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით,

კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება - 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 70%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) გრანტით მიღებული აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

ე) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 10%;
მანქანა-დანადგარები	- 5-13%
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 10-20%.

ვ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ფული სალაროში	6 725	19 207
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	833 032	3 926 422
	<u>839 758</u>	<u>3 945 629</u>

3.2. გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
საბანკო გარანტია	380 600	380 600
	<u>380 600</u>	<u>380 600</u>

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ადგილობრივი დამკვეთები	206 699	254 510
არარეზიდენტი დამკვეთები	-	36 043
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(193 739)	(146 662)
	<u>12 960</u>	<u>143 890</u>

3.4. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გასაყიდად გამიზნული საქონელი	1 177 829	389 976
სხვა მარაგები	130 330	83 116
	<u>1 308 159</u>	<u>473 092</u>

3.5. გადახდილი ავანსები:

გადახდილი ავანსების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ძირითადი საშუალებების შესაძენად არარეზიდენტი კომპანიებისთვის გადახდილი ავანსები.

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
საგადასახადო აქტივები	98 612	242 392
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	37 202	343
სხვა მიმდინარე აქტივები	13 305	-
	<u>149 119</u>	<u>242 735</u>

3.7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა (GEL)	შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორ- ტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	პერიფერიული მოწყობილობა (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	697 440	9 383	433 790	8 326	17 945	39 377	5 262 000	7 472 364
დამატება	-	7 031 063	99 446	13 349 990	19 209	-	672 629	-	21 172 337
(შემცირება)	-	-	-	(658 076)	-	-	(1 347)	-	(659 423)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	7 728 503	108 829	13 125 704	27 535	17 945	710 658	5 262 000	27 985 277
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	159 993	4 702	287 893	7 838	3 033	26 379	858 438	1 348 275
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	10 518	3 745	170 684	758	3 589	8 540	280 950	478 783
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	170 511	8 447	458 576	8 596	6 622	34 918	1 139 387	1 827 058
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	7 557 992	100 383	12 667 128	18 939	11 323	675 740	4 122 613	26 158 219

	მიწა (GEL)	შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორ- ტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	პერიფერიული მოწყობილობა (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	210 357	9 383	433 790	8 125	10 550	30 101	5 262 000	6 968 410
დამატება	-	487 083	-	-	200	7 395	9 276	-	503 954
(შემცირება)	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	697 440	9 383	433 790	8 326	17 945	39 377	5 262 000	7 472 364
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	149 446	3 761	264 029	7 744	642	23 634	576 718	1 025 974
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	10 547	941	23 864	94	2 391	2 744	281 720	322 301
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	159 993	4 702	287 893	7 838	3 033	26 379	858 438	1 348 275
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 004 103	537 447	4 681	145 897	488	14 912	12 998	4 403 562	6 124 089

3.8. საგაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
რეზიდენტი კომპანიები	2 066 243	342 488
რეზიდენტი ფიზიკური პირები	205 784	7 917
არარეზიდენტი კომპანიები	2 133 591	283 748
	4 405 619	634 153

3.9. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	5 050 927	-
მოკლევადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	774 400	-
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (ძირი)	1 548 800	-
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	246 863	9 766
მოკლევადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (პროცენტი)	2 069	0
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (პროცენტი)	26 724	-
	7 649 783	9 766

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკს“ (ს/კ 204854595), რომლის საფუძველია:

- შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის #1000022 გირავნობის ხელშეკრულება, 1231231420093, 05.04.2017;
- საკუთრებაში არსებული და სამომავლო მოძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება, 1231232840282, 24.12.2020;
- გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული: #000004, #000005 და #000006 შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის გირავნობის ხელშეკრულება, 1231232840270, 24.12.2020;
- გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული: #000004, #000005 და #000006 შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების გირავნობის ხელშეკრულება, 1231232840236, 24.12.2020;
- გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტის შესაბამისად არსებული და სამომავლო მოძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება, 1231232840247, 24.12.2020;
- გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული: #000004, #000005 და #000006 შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის გირავნობის ხელშეკრულება, 1231232877491, 11.06.2021.

3.10. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
რეგულირების საფასური	16 307	-
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	27 178	1
სახელშეკრულებო ვალდებულებები	88 500	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3 319	7 194
საგადასახადო ვალდებულებები	1 471	-
	136 774	7 195

3.11. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	22 087 862	8 565 532
	22 087 862	8 565 532

3.12. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გადავადებული სახელმწიფო გრანტი	951 499	951 499
ვალდებულება წარმოშობილი ინვესტიციის შეძენის შედეგად	3 702 545	-
	4 654 044	951 499

2019 წლის 04 დეკემბერს შპს „პალიასტომი-2004“-მა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-სგან „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 1 ლარად შეიძინა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყულევში მდებარე 135942 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეალური ღირებულება შეადგენს 951500 ლარს.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ჯგუფმა არა უმეტეს 2 წლის ვადაში უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ ქონებაზე 3 806 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება, საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს წარმოების პროფილი წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის პროდუქციის წარმოებით.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მიღებული გრანტი, 951499 ლარი წარმოადგენს კომპანიის გრძელვადიან ვალდებულებას.

3.13. საწესდებო კაპიტალი:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „პალიასტომი-2004“-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3 197 726 ლარს (2020წ.: 3 197 726 ლარი).

3.14. ამონაგები:

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები ადგილობრივი რეალიზაციიდან	2 611 795	1 032 675
ამონაგები ექსპორტზე და რეექსპორტზე რეალიზაციიდან	7 602 883	19 544 157
სხვა ამონაგები	29 651	24 608
	<u>10 244 329</u>	<u>20 601 441</u>

3.15. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2021 წელი	2020 წელი
მარაგები	8 167 300	12 928 757
	<u>8 167 300</u>	<u>12 928 757</u>

3.16. მიწოდების ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
ტვირთის გადაზიდვის მომსახურება	275 128	601 147
მიწოდების სხვა ხარჯები	14 460	72 979
	<u>289 588</u>	<u>674 125</u>

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება	251 214	181 867
ოჯარის ხარჯები	4 200	2 400
საბანკო ხარჯები	133 385	132 117
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	24 900	-
საწვავის ხარჯები	42 501	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	105 369	85 276
	<u>561 569</u>	<u>401 660</u>

3.18. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/(შემოსავალი)	47 077	(34 102)
ხელფასის ხარჯები	332 700	-
ცვეთის ხარჯები	197 833	40 582
კომუნალური ხარჯები	10 196	10 938
საოპერაციო იჯარა	47 661	22 212
შენახვის ხარჯები	81 722	338 190
აუთვისებელი რესურსი და რეგულირება	427 047	358 257
საგადასახადო ხარჯები	158 454	55 840
სხვა საოპერაციო ხარჯები	48 586	35 480
	1 351 275	827 397

3.19. ფინანსური ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	1 431 615	133 306
სხვა ფინანსური ხარჯი	29 922	-
	1 461 537	133 306

3.20. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2021 წელი	2020 წელი
კრედიტ-ნოტა	253 249	-
თანადაფინანსების თანხა	870 342	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6 549	20 524
	1 130 140	20 524

3.21. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
უსასყიდლო მიწოდება	27 167	76 100
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	94 758	52 585
	121 925	128 685

**3.22. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება
ვალდებულებების მოძრაობასთან:**

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	8 565 532	66 464	156 162	18 794 951	932	27 138 789
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	774 300	100	774 400
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	-	311 380	12 600	1 870 280	2 500	1 548 800
სულ:	8 565 532	377 844	168 762	21 439 531	3 532	29 461 989

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	9 766	1 165 340	-	1 402 437	-	246 863
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	0	-	-	2 069	-	2 069
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირის მიმართ	-	233	152	27 109	1	26 724
სულ:	9 766	1 165 573	152	1 431 615	1	275 656

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	651 833	634 017	224	8 500 000	47 940	8 565 532
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	465 770	1 345 686	-	794 041	85 875	-
სასესხო ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ	610 192	1 489 671	-	783 045	96 434	-
სულ:	1 727 795	3 469 374	224	10 077 086	230 249	8 565 532

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	26 788	61 003	-	43 982	-	9 766
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	861	48 715	778	48 632	-	0
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირის მიმართ	11 771	52 676	596	41 197	304	-
სულ:	39 420	162 394	1 375	133 811	304	9 766

3.23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.24. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აცნობიერებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარის მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2021 წ.

	EURO	USD	TRY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	289 665	-	289 665
სავაჭრო მოთხოვნები	-	34 287	-	34 287
გადახდილი ავანსები	1 556 007	1 975 816	-	3 531 823
სხვა მიმდინარე აქტივები	-	19 784	7 732	27 515
აქტივები სულ:	1 556 007	2 319 552	7 732	3 883 291
სავაჭრო ვალდებულებები	-	2 334 892	-	2 334 892
მოკლევადიანი სესხები	1 745 889	2 351 993	-	4 097 882
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	1	1
გრძელვადიანი სესხები	2 507 862	-	-	2 507 862
ვალდებულებები სულ:	4 253 751	4 686 885	1	8 940 636
ნეტო შედეგი	(2 697 744)	(2 367 333)	7 731	(5 057 345)
Euro (10% ცვლილება)	(269 774)			
USD (10% ცვლილება)	(236 733)			
TRY (10% ცვლილება)	773			

31 დეკემბერი, 2020 წ.

	EURO	USD	TRY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 059	2 017 275	-	2 020 334
სავაჭრო მოთხოვნები	-	36 043	-	36 043
გადახდილი ავანსები	655 145	5 210 699	-	5 865 844
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	658 204	7 264 018	-	7 922 221
სავაჭრო ვალდებულებები	-	283 748	-	283 748
მოკლევადიანი სესხები	-	1 832	-	1 832
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	65 532	-	65 532
ვალდებულებები სულ:	-	351 112	-	351 112
ნეტო შედეგი	658 204	6 912 906		7 571 109
Euro (10% ცვლილება)	65 820			
USD (10% ცვლილება)	691 291			
TRY (10% ცვლილება)	-			

3.25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო მოთხოვნები	-	50	-	90 305
სავაჭრო ვალდებულებები	-	1 509 545	-	323 288
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	3 702 545	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	863	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	2 351 993	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-	145
ამონაგები	2 612 974	-	1 024 613	-
სხვა ამონაგები	356	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	27 109	-	48 632	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	51 821	-	26 483	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	84 132	-	338 190	-
მიწოდების ხარჯები	1 987	-	4 000	-
საქონლის გადამუშავება	1 308 653	-	1 922 756	-
გაცემული დივიდენდი	3 749 334	-	-	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო მოთხოვნები	-	81 801	-	79 001
სავაჭრო ვალდებულებები	-	20 409	-	76 469
სხვა მიმდინარე აქტივები	-	11 737	-	-
ამონაგები	-	-	3 087	-
სხვა ამონაგები	2 373	-	-	-
იჯარის ხარჯები	19 096	-	-	-
ხარჯები	-	-	2 703	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	73 494	-	22 212	-
მიწოდების ხარჯები	-	-	249 345	-
საქონლის გადამუშავება	199 954	-	396 272	-
ძირითადი საშუალების შეძენა	-	-	3 051	-

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.26. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონდა.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ჯგუფს შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და ჯგუფი უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის

მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

3.27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 30 სექტემბრამდე, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 30 სექტემბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „პალიასტომი - 2004“ დაარსდა 2004 წლის 26 აგვისტოს. ჯგუფის საქმიანობის სფეროა შავი ზღვის აკვატორიაში თევზჭერა, გადამუშავება და რეალიზაცია, რასაც ახორციელებს თევზჭერის ლიცენზიის ფარგლებში. თევზჭერის ძირითადი ობიექტი არის თევზი - ქაფშია. ჯგუფი მიღებული პროდუქციის დიდ ნაწილს ყიდის ექსპორტზე, ევროპის და აზიის ბაზრებზე. ჯგუფი ასევე ეწევა გაყინული თევზის რეექსპორტს. შპს „პალიასტომი-2004“-მა 2020 წლის 3 დეკემბერს დააფუძნა შპს „ჯორჯიან მარინ გრუპ“ წილობრივი მონაწილეობით - 100%, რის შემდგომაც გააფართოვა თვისი საქმიანობის სფერო და დაუმატა გემის იჯარით გაცემით მომსახურება, ხოლო 2021 წლის 17 მაის დააფუძნა შპს მარონ ლუჯისტო გრუპ, რომელსაც საქმიანობას ასევე გემით საოჯრო მომსახურებაა.

ჯგუფის სამომავლო განვითარების საკმაოდ დიდი გეგმები აქვს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს თევზის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც საკუთარი მოპოვებული თევზის გადამამუშავება, ასევე კონტრაქტორებისთვის გადამამუშავების მომსახურების გაწევა. რაც ჯგუფს გახდის ერთერთ მსხვილ მოთამაშეს აღნიშნულ დარგში.

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა:



ინფორმაცია ფილიალების შესახებ:

შპს „პალიასტომი -2004“-ს ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა:

კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდში.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები:

სამუშაო გარემო:

ჯგუფმა განსაზღვრა, უზრუნველყო და ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროცესების მიმდინარეობისა და მომსახურების შესაბამისობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. სამუშაო გარემოში იგულისხმება ადამიანური და ფიზიკური ფაქტორების კომბინაცია, როგორიცაა: ა) სოციალური (არა-დისკრიმინაციული, მშვიდი, არა-კონფრონტაციული); ბ) ფსიქოლოგიური (სტრესული სიტუაციის შემცირება, გადაღლის პრევენცია, ემოციური დაცვა); გ) ფიზიკური (ტემპერატურა, გათბობა, ტენიანობა, განათება, ჰაერცვლა, ჰიგიენა, ხმაური);

შრომის დაცვა/ტექნიკური უსაფრთხოება:

ჯგუფში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს კომპანიებში შრომის დაცვის თვალსაზრისით პერსონალისათვის საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საფრთხის ანალიზი, შეაფასოს ამ საფრთხის მოხდენის რისკი და საკონტროლო ზომები გაატაროს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად.

შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შეფასებული და მაქსიმალურად კონტროლირებულია პერსონალის შრომითი გარემოს მიმართ არსებული სპეციფიკური რისკები. არსებობს პოტენციური საფრთხეების მონაცემთა ბაზა, სადაც განხილულია ყველა შესაძლო საფრთხე პერსონალის ჯანმრთელობის მიმართ.

ნარჩენების განთავსება და გარემოს დაცვა:

ჯგუფი ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება ყველა ადგილობრივ კანონს და ნორმატიულ აქტს ნარჩენების შეგროვების, შენახვის, გადამუშავების და გატანის შესახებ და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

ხარისხის პოლიტიკის შედგენა:

ჯგუფის ხელმძღვანელობამ:

- შეიმუშავა, დანერგა და ინარჩუნებს ხარისხის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის მიზნებს, არსს და ხელს უწყობს მის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- შეიცავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების პასუხისმგებლობას.

ჯგუფის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ავტორიზაცია:

ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და დამტკიცებულია პასუხისმგებლობები და უფლებები საჭირო პოზიციებისათვის და გაცნობილია შესაბამისი პერსონალის მიერ.

განსაზღვრულია პასუხისმგებლობები და უფლებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობა;

- პროცესების მიერ წინანსწარ დადგენილი შედეგების მიღება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესრულებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების რეპორტირება განსაკუთრებით ზედა მენეჯმენტისთვის;
- ჯგუფის კლიენტზე ორიენტირებულობის ხელშეწყობა;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ცვლილებების დაგეგმვის და დანერგვის შემთხვევაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შენარჩუნება.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები:

მომგებიანობის თვალსაზრისით, 2021 წლის განმავლობაში, შ.პ.ს პალიასტომი-2004-ის EBITDA-ს მარჟა შეადგენს 18 %-ს, (2020 -27%) რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ საოპერაციო შემოსავალთან;

ჯგუფის წმინდა მოგების მარჟა შეადგენდა -1%-ს (2020 -23,47%), რომელიც გამოითვლება მოგება გადასახადის გადახდამდე შეფარდებული ამონაგებთან. უკუგების თვალსაზრისით, მოგება კაპიტალთან მიმართებაში შეადგენდა -3%-ს (2020- 151,99%), (წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან), უკუგება აქტივებზე კი -0,22%-ს (23,64%), (წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ შეფარდებული მთლიან აქტივებზე). სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი შეადგენს 10%-ს (2020 -6.87%), რომელიც გამოითვლება ფულადი საშუალებების და სავაჭრო მოთხოვნების ფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან.

შპს „პალიასტომი-2004“-ის დირექტორი

პაატა ჟღენტო

2022 წლის 30 სექტემბერი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



პაატა ჟღენტი

ეკატერინე დობორჯგინიძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „პალიასტომი-2004“-ის პარტნიორებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პალიასტომი-2004“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი - 215103509) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული კონსოლიდირებული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 22,035,607 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი - 1,720,526 ლარი). ჯგუფს, მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ძირითადი საშუალებებისათვის არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. ამასთან, ჯგუფმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, არ გამოიყენა ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულების მოდელი, რისი უფლებაც ჰქონდა მსს ფასს მიხედვით.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულ გარკვეულ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც

შეძენილი იყო 2019 წლის 01 იანვრამდე და რომლის ღირებულებამ 31.12.2021-სთვის შეადგინა 168,325 ლარი, ჯგუფმა ვერ შეძლო სრულყოფილად წარმოდგინა თვითღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში და ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ ცვეთის ხარჯებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად

მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

30 სექტემბერი, 2022 წელი



**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	839 758	3 945 629	3.1.
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	380 600	380 600	3.2.
სავაჭრო მოთხოვნები	12 960	143 890	3.3.
მარაგები	1 308 159	473 092	3.4.
გადახდილი ავანსები	13 454 867	6 077 354	3.5.
სხვა მიმდინარე აქტივები	149 119	242 735	3.6.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	16 145 463	11 263 300	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	22 035 607	1 720 526	3.7.
არამატერიალური აქტივები	4 122 613	4 403 562	
ინვესტიციები	3 749 334	-	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	29 907 553	6 124 088	
აქტივები სულ:	46 053 016	17 387 389	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	4 405 619	634 153	3.8.
მოკლევადიანი სესხები	7 649 783	9 766	3.9.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	136 774	7 195	3.10.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	12 192 176	651 114	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	22 087 862	8 565 532	3.11.
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 654 044	951 499	3.12.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	26 741 906	9 517 031	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3 197 726	3 197 726	3.13.
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	(16 314)	(16 314)	
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	3 937 523	4 037 833	
კაპიტალი სულ:	7 118 934	7 219 244	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	46 053 016	17 387 389	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და
ხელმოწერილია:

დირექტორი

პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი

ეკატერინე დობორჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ამონაგები	10 244 329	20 601 441	3.14.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(8 167 300)	(12 928 757)	3.15.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	2 077 029	7 672 683	
მიწოდების ხარჯები	(289 588)	(674 125)	3.16.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(561 569)	(401 660)	3.17.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 351 275)	(827 397)	3.18.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(125 403)	5 769 501	
ფინანსური შემოსავალი	46 367	17 308	
ფინანსური ხარჯი	(1 461 537)	(133 306)	3.19.
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	432 048	(709 810)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 130 140	20 524	3.20.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(121 925)	(128 685)	3.21.
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე წლის წმინდა მოგება	(100 310)	4 835 532	
წლის წმინდა მოგება	(100 310)	4 835 532	
წლის სრული შემოსავალი	(100 310)	4 835 532	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი

პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი

ეკატერინე დობოროჯინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-სთვის	3 181 411	(797 699)	2 383 712
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	4 835 532	4 835 532
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 181 411	4 037 833	7 219 244
ნაშთი 31.12.2020-სთვის	3 181 411	4 037 833	7 219 244
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(100 310)	(100 310)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3 181 411	3 937 523	7 118 934
ნაშთი 31.12.2021-სთვის	3 181 411	3 937 523	7 118 934

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და
ხელმოწერილია:

დირექტორი

პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი

ეკატერინე დობორჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	10 640 887	19 481 240	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(16 364 860)	(14 095 089)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(994 262)	(152 834)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(18 808)	(35 543)	
გადახდილი გადასახადები	(380 919)	(479 560)	
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ანგარიშებზე განთავსება	-	(380 600)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(182 324)	(175 955)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(7 300 285)	4 161 659	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(17 426 613)	(7 473 568)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	742 818	-	
მიღებული პროცენტები	46 367	17 308	
მიღებული თანადაფინანსება	1 313 294		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(15 324 135)	(7 456 260)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	21 810 521	10 077 086	3.22
სესხების დაფარვა	(377 844)	(3 000 895)	
გადახდილი პროცენტები	(1 979 515)	(138 052)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	19 453 162	6 938 139	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	65 387	101 598	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(3 105 871)	3 745 136	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	3 945 629	200 493	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	839 758	3 945 629	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია:

დირექტორი

პაატა ჟღენტი

მთ. ბუღალტერი

ეკატერინე დობოჯგინიძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „პალიასტომი - 2004“ დაარსდა 2004 წლის 26 აგვისტოს. ჯგუფის საქმიანობის სფეროა შავი ზღვის აკვატორიაში თევზჭერა, გადამუშავება და რეალიზაცია, რასაც ახორციელებს თევზჭერის ლიცენზიის ფარგლებში. თევზჭერის ძირითადი ობიექტი არის თევზი - ქაფშია. ჯგუფი მიღებული პროდუქციის დიდ ნაწილს ყიდის ექსპორტზე, ევროპის და აზიის ბაზრებზე. ჯგუფი ასევე ეწევა გაყინული თევზის რეექსპორტს. შპს „პალიასტომი-2004“-მა 2020 წლის 3 დეკემბერს დააფუძნა შპს „ჯორჯიან მარინ გრუპ“ წილობრივი მონაწილეობით - 100%, რის შემდგომაც გააფართოვა თვისი საქმიანობის სფერო და დაუმატა გემის იჯარით გაცემით მომსახურება, ხოლო 2021 წლის 17 მაის დააფუძნა შპს მარინ ლოჯისტიკ გრუპ , რომელის საქმიანობას ასევე გემით საიჯარო მომსახურებაა.

ჯგუფის სამომავლო განვითარების საკმაოდ დიდი გეგმები აქვს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს თევზის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც საკუთარი მოპოვებული თევზის გადამამუშავება, ასევე კონტრაქტორებისთვის გადამამუშავების მომსახურების გაწევა. რაც ჯგუფს გახდის ერთერთ მსხვილ მოთამაშეს აღნიშნულ დარგში.

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა:



ინფორმაცია ფილიალების შესახებ:

შპს „პალიასტომი -2004“-ს ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა:

კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდში.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები:

სამუშაო გარემო:

ჯგუფმა განსაზღვრა, უზრუნველყო და ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროცესების მიმდინარეობისა და მომსახურების შესაბამისობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. სამუშაო გარემოში იგულისხმება ადამიანური და ფიზიკური ფაქტორების კომბინაცია, როგორიცაა: ა) სოციალური (არა-დისკრიმინაციული, მშვიდი, არა-კონფრონტაციული); ბ) ფსიქოლოგიური (სტრესული სიტუაციის შემცირება, გადაღლის პრევენცია, ემოციური დაცვა); გ) ფიზიკური (ტემპერატურა, გათბობა, ტენიანობა, განათება, ჰაერცვლა, ჰიგიენა, ხმაური);

შრომის დაცვა/ტექნიკური უსაფრთხოება:

ჯგუფში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს კომპანიებში შრომის დაცვის თვალსაზრისით პერსონალისათვის საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საფრთხის ანალიზი, შეაფასოს ამ საფრთხის მოხდენის რისკი და საკონტროლო ზომები გაატაროს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად.

შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შეფასებული და მაქსიმალურად კონტროლირებულია პერსონალის შრომითი გარემოს მიმართ არსებული სპეციფიკური რისკები. არსებობს პოტენციური საფრთხეების მონაცემთა ბაზა, სადაც განხილულია ყველა შესაძლო საფრთხე პერსონალის ჯანმრთელობის მიმართ.

ნარჩენების განთავსება და გარემოს დაცვა:

ჯგუფი ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება ყველა ადგილობრივ კანონს და ნორმატიულ აქტს ნარჩენების შეგროვების, შენახვის, გადამუშავების და გატანის შესახებ და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

ხარისხის პოლიტიკის შედგენა:

ჯგუფის ხელმძღვანელობამ:

- შეიმუშავა, დანერგა და ინარჩუნებს ხარისხის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის მიზნებს, არსს და ხელს უწყობს მის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- შეიცავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების პასუხისმგებლობას.

ჯგუფის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ავტორიზაცია:

ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და დამტკიცებულია პასუხისმგებლობები და უფლებები საჭირო პოზიციებისათვის და გაცნობილია შესაბამისი პერსონალის მიერ.

განსაზღვრულია პასუხისმგებლობები და უფლებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობა;

- პროცესების მიერ წინანსწარ დადგენილი შედეგების მიღება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესრულებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების რეპორტირება განსაკუთრებით ზედა მენეჯმენტისთვის;
- ჯგუფის კლიენტზე ორიენტირებულობის ხელშეწყობა;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ცვლილებების დაგეგმვის და დანერგვის შემთხვევაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შენარჩუნება.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები:

მომგებიანობის თვალსაზრისით, 2021 წლის განმავლობაში, შ.პ.ს პალიასტომი-2004-ის EBITDA-ს მარჯა შეადგენს 18 %-ს, (2020 -27%) რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ საოპერაციო შემოსავალთან;

ჯგუფის წმინდა მოგების მარჯა შეადგენდა -1%-ს (2020 -23,47%), რომელიც გამოითვლება მოგება გადასახადის გადახდამდე შეფარდებული ამონაგებთან. უკუგების თვალსაზრისით, მოგება კაპიტალთან მიმართებაში შეადგენდა -3%-ს (2020- 151,99%), (წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან), უკუგება აქტივებზე კი -0,22%-ს (23,64%), (წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ შეფარდებული მთლიან აქტივებზე). სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი შეადგენს 10%-ს (2020 -6.87%), რომელიც გამოითვლება ფულადი საშუალებების და სავაჭრო მოთხოვნების ფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან.

შპს „პალიასტომი-2004“-ის დირექტორი

პაატა ჟღენტო

2022 წლის 30 სექტემბერი

